

საქართველოს კანონი

„ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“

საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №30(37), 1999 წელი, მუხ. 158) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

1. მე-4 მუხლს:

ა) დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ“ ქვეპუნქტი:

„ბ¹) ძირითადი მავნე ნივთიერებები - გოგირდის დიოქსიდი, აზოტის დიოქსიდი, აზოტის ოქსიდები, მყარი ნაწილაკები, ტყვია, ბენზოლი, ნახშირბადის მონოქსიდი, ოზონი, დარიშხანი, კადმიუმი, ვერცხლისწყალი, ნიკელი, ბენზ(ა)პირენი, მანგანუმის დიოქსიდი;“;

ბ) დაემატოს შემდეგი შინაარსის „ს“-„ჟ“ ქვეპუნქტები:

„ს) ზონა - ქვეყნის ტერიტორიის ის ნაწილი, რომელიც გამოყოფილია ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასებისა და მართვის მიზნებისთვის;

ტ) აგლომერაცია - ქალაქი, რომლის მოსახლეობაც აჭარბებს 250 000-ს;

უ) ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის გეგმა - გეგმა, რომელიც განსაზღვრავს ზღვრულად დასაშვები ნორმების ან მიზნობრივი მნიშვნელობის მისაღწევად საჭირო ღონისძიებებს;

ფ) დონე - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერების კონცენტრაცია;

ქ) ზღვრულად დასაშვები ნორმები - ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე მავნე ზეგავლენის თავიდან აცილების ან შემცირების მიზნით დადგენილი დონე, რომელიც მიღწეულ უნდა იქნეს დროის მოცემულ პერიოდში და შემდგომში არ უნდა აჭარბებდეს უკვე მიღწეულ დონეს;

დ) შეფასება - ნებისმიერი მეთოდი, რომელიც გამოიყენება ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის ფარგლებში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის დონეების გაზომვის, გამოთვლის ან პროგნოზირებისთვის;

ე) შეფასების ზედა ზღვარი - დონე, რომლის ქვემოთ ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შესაფასებლად შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სტაციონარული გაზომვების და მოდელირების მეთოდის და/ან ინდიკატორული საზომი მექანიზმების ერთობლიობა;

შ) შეფასების ქვედა ზღვარი - დონე, რომლის ქვემოთ ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შესაფასებლად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მოდელირების ან ობიექტური შეფასების მეთოდი;

ჩ) ტოლერანტობის ზღვარი - ზღვრულად დასაშვები ნორმების პროცენტი, რომლითაც აღნიშნული მნიშვნელობა შესაძლოა იქნეს გადაჭარბებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სტანდარტების შესახებ ტექნიკურ რეგლამენტში მოცემული პირობების თანახმად;

ც) განგაშის ზღვარი - ზღვარი, რომლის მიღმაც მოსახლეობის ჯანმრთელობა მყისიერი უარყოფითი ზემოქმედების რისკის ქვეშ დგება და დაუყოვნებლივ საჭიროებს ზომების მიღებას;

ძ) მიზნობრივი მნიშვნელობა – ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე მავნე ზეგავლენის თავიდან აცილების ან შემცირების მიზნით დადგენილი დონე დროის მოცემულ პერიოდში, ასეთი დონის მიღწევის შესაძლებლობის შემთხვევაში;

წ) ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვა - ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებისკენ მიმართულ ღონისძიებათა ერთობლიობა;

ჭ) ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სტანდარტები - ზღვრულად დასაშვები ნორმები, შეფასების ზედა ზღვარი, შეფასების ქვედა ზღვარი, ტოლერანტობის ზღვარი, განგაშის ზღვარი, კრიტიკული დონე და მიზნობრივი მნიშვნელობა.“;

2. მე-5 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5¹ მუხლი:

მუხლი 5¹. ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგი და მართვა

1. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგი და მართვა ხორციელდება ზონებსა და აგლომერაციებში. ზონები და აგლომერაციები მტკიცდება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის სამართლებრივი აქტით.

2. ზონები დგინდება ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასების შედეგების, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის ინვენტარიზაციის, გეოგრაფიული და მეტეოროლოგიური პარამეტრების გათვალისწინებით.

3. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გარემოს ეროვნული სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) მიერ ზონები და აგლომერაციები კლასიფიცირდება ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სტანდარტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი შეფასების ზედა და ქვედა ზღვრების მიხედვით, არანაკლებ 5 წელიწადში ერთხელ. სააგენტოს მიერ დადგენილი კლასიფიკაციის საფუძველზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი გამოსცემს შესაბამის სამართლებრივ აქტს.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა, როდესაც ხორციელდება მნიშვნელოვანი ცვლილება, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ატმოსფერულ ჰაერში ძირითადი მავნე ნივთიერებების კონცენტრაციაზე, უნდა მოხდეს ზონებისა და აგლომერაციების კლასიფიკაციის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, კლასიფიკაციის შეცვლა.“;

3. მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საჯარო დაწესებულებიდან მიიღონ სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია ატმოსფერული ჰაერის ხარისხის, ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის გეგმებისა და მოკლევადიანი სამოქმედო გეგმების შესახებ;“;

4. მე-8 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ¹“ და „გ²“ ქვეპუნქტები:

„გ¹) ზონებისა და აგლომერაციების დადგენა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე;

გ²) ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის გეგმების და მოკლევადიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება, შესაბამის უწყებებთან ერთად და კომპეტენციის ფარგლებში, შესაბამის მუნიციპალიტეტ(ებ)თან შეთანხმებით;“;

5. მე-18 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 18. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციის ზღვრულად დასაშვები ნორმები

1. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციის ზღვრულად დასაშვები ნორმები არის გარემოს ეკოლოგიური წონასწორობის უზრუნველსაყოფად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივი ნორმების (გარემოს ხარისხობრივი სტანდარტების) ნაწილი. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციის ზღვრულად დასაშვები ნორმები დგინდება თითოეული მავნე ნივთიერებისათვის.

2. ატმოსფერულ ჰაერში ძირითად მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციის ზღვრულად დასაშვებ ნორმებს, ტექნიკური რეგლამენტის - ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სტანდარტების სახით, ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.“;

6. მე-20 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 20. ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის სისტემა

ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგი არის ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობაზე დაკვირვებით მიღებული ინფორმაციის შეგროვების, ანალიზისა და პროგნოზირების ერთობლიობა. ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგი არის გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვების (მონიტორინგის) სისტემის ნაწილი, რომლის ორგანიზების საერთო კოორდინაციას ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ახორციელებს სააგენტოს მეშვეობით.“;

7. 29²-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 29². ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული ობიექტების აღრიცხვა

ამ თავის ნორმების შესასრულებლად აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი სამსახურები, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ყოველწლიურად აღრიცხავენ თავიანთ რეგიონებში განთავსებულ ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარულ ობიექტებს და შესაბამის ინფორმაციას წარუდგენენ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს.“;

8. 38-ე მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი სამსახურები ვალდებული არიან, ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული დაბინძურების

სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა წლიური გაფრქვევების ფაქტობრივი მაჩვენებლები, მათი შეთანხმების შემთხვევაში, დადგენილი წესით წარუდგინონ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს.“;

9. 44-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 44¹ და 44² მუხლები:

„მუხლი 44¹. ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის გეგმა

1. თუ რომელიმე ზონაში ან/და აგლომერაციაში ატმოსფერული ჰაერის ძირითადი მავნე ნივთიერებების დონეები აჭარბებს ზღვრულად დასაშვებ ნორმებს ან მიზნობრივ მნიშვნელობას, ასევე, შესაბამის ტოლერანტობის ზღვარს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო შესაბამის უწყებებთან ერთად და კომპეტენციის ფარგლებში, იმ მუნიციპალიტეტთან/მუნიციპალიტეტებთან შეთანხმებით, რომლის/რომელთა ადმინისტრაციული საზღვრები მოქცეულია შესაბამისი ზონის ან აგლომერაციის ფარგლებში, შეიმუშავებს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის გეგმას ამ ზონის ან/და აგლომერაციისთვის, რათა მიღწეულ იქნას ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სტანდარტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი ზღვრულად დასაშვები ნორმები ან მიზნობრივი მნიშვნელობები.

2. იმ ძირითადი მავნე ნივთიერებებისთვის, რომელთათვისაც ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სტანდარტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტით დადგენილია ტოლერანტობის ზღვრები, თუ კონკრეტული ტერიტორიისთვის სპეციფიური დისპერსიული მახასიათებლების, არახელსაყრელი კლიმატური პირობების, ტრანსსასაზღვრო დაბინძურების ან სხვა მიზეზების გამო შეუძლებელია ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სტანდარტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი ზღვრულად დასაშვები ნორმების დაცვა, ნორმების გადაჭარბება არ უნდა აღემატებოდეს ტოლერანტობის ზღვრებს და ზღვრულად დასაშვები ნორმების მიღწევის მიზნით უნდა შემუშავდეს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის გეგმა.

3. ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის გეგმა მტკიცდება საქართველოს მთავრობის მიერ, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარდგინებით.

4. ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის გეგმა უნდა მოიცავდეს შემდეგს:

ა) ინფორმაციას დაბინძურებული ტერიტორიის (რეგიონი, ქალაქი, ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურების დონეზე დაკვირვების პუნქტი/სადგური, კოორდინატების მითითებით) შესახებ;

ბ) ინფორმაციას ზონის ტიპის (ქალაქი, სამრეწველო ზონა, დაბა, სოფელი), დაბინძურებული ტერიტორიის მასშტაბისა და მოსახლეობის ოდენობის შესახებ,

რომელიც მოექცა დაბინძურებული ტერიტორიის არეალში, ასევე საჭირო კლიმატურ და ტოპოგრაფიულ მონაცემებს, შესაბამის ინფორმაციას იმ სამიზნეების თაობაზე, რომელთა დაცვის მიზნითაც დგება გეგმები;

გ) ინფორმაციას ძირითადი მავნე ნივთიერებების კონცენტრაციისა და გამოყენებული გაზომვის მეთოდების შესახებ, წინა წლების დაკვირვების შედეგებზე დაყრდნობით;

დ) ინფორმაციას დაბინძურების ძირითადი წყაროების და მათგან ძირითად მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების მთლიანი წლიური ოდენობის შესახებ, ასევე ინფორმაციას იმ ტერიტორიიდან შემომავალი დაბინძურების შესახებ, რომელიც არ შედის ამ ზონის ან აგლომერაციის ფარგლებში;

ე) ინფორმაციას იმ ფაქტორების შესახებ, რამაც გამოიწვია მიზნობრივი მნიშვნელობების ან ზღვრულად დასაშვები ნორმების გადაჭარბება, ასევე, ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გასაუმჯობესებლად გასატარებელი შესაძლო ღონისძიებების შესახებ;

ვ) ინფორმაციას იმ ღონისძიებების შესახებ, რომელთა დაგეგმაც მოხდა ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის გეგმის შემუშავებამდე გრძელვადიანი პერიოდისთვის.

5. ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის გეგმას თან უნდა დაერთოს შესაბამისი რუკა, რომელზეც დატანილი იქნება აგრეთვე ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურების დონეზე დაკვირვების პუნქტიები/სადგურები, დაბინძურების ძირითადი სტაციონარული წყაროები და აღნიშნული გეგმის მოსამზადებლად გამოყენებული მასალების სია.

6. იმ შემთხვევაში, როდესაც ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის გეგმების შემუშავება აუცილებელია რამდენიმე ძირითად მავნე ნივთიერებასთან მიმართებით, შესაძლებელია შემუშავდეს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ინტეგრირებული მართვის გეგმა, რომელიც ყველა ძირითად მავნე ნივთიერებას მოიცავს.

7. ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის გეგმა ქვეყნდება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და შესაბამისი მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე.

მუხლი 44² მოკლევადიანი სამოქმედო გეგმები

1. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს რისკი, რომ რომელიმე ზონასა ან/და აგლომერაციაში ძირითადი მავნე ნივთიერების დონე გადააჭარბებს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სტანდარტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ ერთ ან რამდენიმე განგაშის ზღვარს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, კომპეტენციის ფარგლებში, იმ

მუნიციპალიტეტთან/მუნიციპალიტეტებთან შეთანხმებით, რომლის/რომელთა ადმინისტრაციული საზღვრები მოქცეულია შესაბამისი ზონის ან/და აგლომერაციის ფარგლებში, შეიმუშავებს მოკლევადიან სამოქმედო გეგმას, რომელშიც განისაზღვრება გადაჭარბების რისკის ან გადაჭარბების ხანგრძლივობის შესამცირებლად საჭირო ღონისძიებები. მოკლევადიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს ზღვრულად დასაშვები ნორმების ან მიზნობრივი მნიშვნელობების გადაჭარბების რისკი.

2. მოკლევადიანი სამოქმედო გეგმა მტკიცდება საქართველოს მთავრობის მიერ, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარდგინებით.

3. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ოზონის დონის განგაშის ზღვრების გადაჭარბების რისკი, მოკლევადიანი სამოქმედო გეგმები შემუშავდება მხოლოდ მაშინ, თუ გეოგრაფიული, მეტეოროლოგიური და ეკონომიკური გარემოებების გათვალისწინებით, სახეზეა გადაჭარბების რისკის, გადაჭარბების პერიოდის ან სიდიდის შემცირების მნიშვნელოვანი ალბათობა.

4. მოკლევადიანი სამოქმედო გეგმა უნდა მოიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) დასაბუთებას რისკის თაობაზე, რომ რომელიმე ზონასა ან/და აგლომერაციაში ძირითადი მავნე ნივთიერების დონე გადააჭარბებს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სტანდარტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ ერთ ან რამდენიმე განგაშის ზღვარს;

ბ) ატმოსფერულ ჰაერში ძირითადი მავნე ნივთიერებების გაფრქვევათა შესამცირებლად საჭირო ღონისძიებების ჩამონათვალსა და ამ ღონისძიებათა აღწერას;

გ) ატმოსფერულ ჰაერში ძირითადი მავნე ნივთიერებების გაფრქვევათა შესამცირებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების შესახებ ინფორმაციას;

დ) ატმოსფერულ ჰაერში ძირითადი მავნე ნივთიერებების გაფრქვევათა შესამცირებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელების ტერიტორიასა და ვადებს.

5. მოკლევადიანი სამოქმედო გეგმები, კონკრეტული შემთხვევების გათვალისწინებით, შესაძლოა ითვალისწინებდეს ისეთ საქმიანობებთან დაკავშირებული კონტროლის ღონისძიებების გატარებას, რომლებიც ხელს უწყობს შესაბამისი ზღვრულად დასაშვები ნორმების, მიზნობრივი მნიშვნელობების ან განგაშის ზღვრების გადაჭარბების რისკის წარმოშობას ან საჭიროების შემთხვევაში ასეთი საქმიანობის შეჩერებას.

6. მოკლევადიანი სამოქმედო გეგმები ქვეყნდება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და შესაბამისი მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე.“;

10. 51-ე მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის შედეგებისა და ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშის გამოქვეყნებითა და „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მოთხოვნით – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების კანონით დადგენილი წესით დამტკიცებით.“;

ბ) დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3-მე-5 პუნქტები:

„3. სააგენტო ყოველწლიურად აქვეყნებს ანგარიშს ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის შედეგებისა და ატმოსფერული ჰაერის ძირითადი მავნე ნივთიერებებით დაბინძურების შესახებ.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ანგარიშში უნდა აისახოს ინფორმაცია შესაბამისი გასაშუალოებული პერიოდისთვის ზღვრულად დასაშვები ნორმების, მიზნობრივი მნიშვნელობების, გრძელვადიანი მიზნების და განგაშის ზღვრების გადაჭარბების დონეების შესახებ.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ანგარიში, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია მოიცავდეს ასევე სხვა მავნე ნივთიერებებთან დაკავშირებულ ინფორმაციას.“;

11. 51-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 51¹ მუხლი:

„მუხლი 51¹. ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შესახებ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

1. საზოგადოებისთვის რეგულარულად უნდა იყოს ხელმისაწვდომი უახლესი ინფორმაცია ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების კონცენტრაციების შესახებ.

2. საჯარო ინფორმაცია ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების კონცენტრაციების შესახებ, სულ მცირე, უნდა მოიცავდეს მონაცემებს კონცენტრაციების გადაჭარბების დონის შესახებ, მათ შორის, ზღვრულ მნიშვნელობებს, საგანგაშო ზღვრებს, შეტყობინების ზღვრებს ან გრძელვადიან ამოცანებს რეგულირებადი დამაბინძურებლების შესახებ. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების კონცენტრაციების შესახებ ინფორმაციას ასევე თან უნდა ახლდეს კონცენტრაციების ჰაერის ხარისხის სტანდარტთან შედარების მოკლე შეფასება და შესაბამისი ინფორმაცია ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შესახებ.

3. ინფორმაცია ატმოსფერულ ჰაერში გოგირდის დიოქსიდის, აზოტის დიოქსიდის, მყარი ნაწილაკების (PM10 მაინც), ნახშირბადის მონოქსიდისა და ოზონის კონცენტრაციების შესახებ უნდა განახლდეს, სულ მცირე, ყოველდღიურად, ხოლო იქ სადაც ეს პრაქტიკულად შესაძლებელია – საათობრივად.

4. ინფორმაცია ატმოსფერულ ჰაერში ტყვიისა და ბენზოლის კონცენტრაციების შესახებ წარმოდგენილი უნდა იქნეს ბოლო 12 თვის გასაშუალოებული მნიშვნელობის სახით, რომელიც 3 თვეში ერთხელ, ხოლო იქ სადაც ეს პრაქტიკულად შესაძლებელია – ყოველთვიურად უნდა განახლდეს.

5. მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს სრული და დროული ინფორმაცია ატმოსფერული ჰაერის ხარისხის განმსაზღვრელი კონცენტრაციების, განგაშის ზღვრებისა და შეტყობინების ზღვრების გადაჭარბების შესახებ. აღნიშნული ზღვრების გადაჭარბების შესახებ ინფორმაციას თან უნდა ახლდეს, სულ მცირე, შემდეგი სახის ინფორმაცია:

ა) ინფორმაცია კონცენტრაციების დაფიქსირებული გადაჭარბების შესახებ:

ა.ა) გადაჭარბების ადგილმდებარეობა ან არეალი;

ა.ბ) გადაჭარბებული ზღვრის ტიპი (შეტყობინების ან განგაშის);

ა.გ) გადაჭარბების დაწყების დრო და ხანგრძლივობა;

ა.დ) ყველაზე მაღალი ერთსაათიანი კონცენტრაცია და ოზონის შემთხვევაში დამატებით ყველაზე მაღალი რვასაათიანი კონცენტრაცია;

ბ) ინფორმაცია მოსახლეობის ტიპის შესახებ, ჯანმრთელობაზე შესაძლო ზემოქმედების შესახებ და რეკომენდებული ქცევა:

ბ.ა) ინფორმაცია მოსახლეობის იმ ჯგუფების შესახებ, რომლებიც რისკის ქვეშ არიან;

ბ.ბ) სავარაუდო სიმპტომების აღწერა;

ბ.გ) რეკომენდებული ზომები, რომლებიც უნდა იქნეს მიღებული მოსახლეობის შესაბამისი ჯგუფების მიერ.

გ) მომდევნო დღის პროგნოზი:

გ.ა) გეოგრაფიული არეალი მოსალოდნელი ინფორმაციული ან/და განგაშის ზღვრის გადაჭარბების შესახებ;

გ.ბ) ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაში მოსალოდნელი ცვლილებები (გაუმჯობესება, სტაბილიზაცია ან გაუარესება), აღნიშნული ცვლილებების მიზეზებთან ერთად.

დ) ინფორმაცია პრევენციულ ქმედებებზე, დაბინძურების და/ან ზემოქმედების შესამცირებლად. ძირითადი წყაროს მითითება, რეკომენდაციები ემისიების შემცირების მიზნით, გასატარებელი ღონისძიებების პრაქტიკული დეტალები.

6. ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შესახებ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის სხვა საკითხები რეგულირდება ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სტანდარტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი.“;

12. 53-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 და მე-6 პუნქტები:

„5. ევროკავშირის კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, საქართველოში ფტორირებული სათბურის აირების აღრიცხვის, აღდგენის, გაუვნებელყოფის, გამოყენების, ემისიების პრევენციის და კონტროლის წესები და მათთან დაკავშირებული დამატებით ღონისძიებები განისაზღვრება „ფტორირებული სათბურის აირების მართვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

6. საქართველოში ფტორირებული სათბურის აირების მართვის კონპეტენტურ უწყებას წარმოადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.“;

13. 68-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9-მე-10 პუნქტები:

„9. საქართველოს მთავრობამ:

ა) 2020 წლის პირველ იანვრამდე დაამტკიცოს ტექნიკური რეგლამენტი „ფტორირებული სათბურის აირების მართვის შესახებ“;

ბ) 2021 წლის პირველ სექტემბრამდე დაამტკიცოს:

ბ.ა) ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის გეგმები იმ ზონების ან/და აგლომერაციებისთვის, სადაც ატმოსფერული ჰაერის ძირითადი მავნე ნივთიერებების დონეები აჭარბებს ზღვრულად დასაშვებ ნორმებს ან მიზნობრივ მნიშვნელობას;

ბ.ბ) მოკლევადიანი სამოქმედო გეგმები იმ ზონების ან/და აგლომერაციებისთვის, სადაც ძირითადი მავნე ნივთიერების დონე აჭარბებს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სტანდარტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ ერთ ან რამდენიმე განგაშის ზღვარს.

10. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა 2020 წლის პირველ სექტემბრამდე:

- ა) ბრძანებით დაადგინოს ამ კანონით გათვალისწინებული ზონები და აგლომერაციები;
- ბ) გამოსცეს ბრძანება „ზონების და აგლომერაციების კლასიფიკაციის შესახებ“.

მუხლი 2.

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის მე-2, მე-3, მე-4 და მე-9 პუნქტებისა და მე-11 პუნქტით გათვალისწინებული, კანონის 51¹ მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა, ამოქმედდეს 2019 წლის პირველი სექტემბრიდან.
2. ამ კანონის პირველი მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტები ამოქმედდეს 2020 წლის პირველი სექტემბრიდან.
3. ამ კანონის პირველი მუხლის მე-3 და მე-9 პუნქტები ამოქმედდეს 2021 წლის პირველი სექტემბრიდან.
4. ამ კანონის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული, კანონის 51¹ მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2024 წლის პირველი იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი